სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს

2015 წლის საქმიანობის ანგარიში

საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რეგიონული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისგან შექმნილია 5 თემატური სამუშაო ჯგუფი (1. ინფრასტრუქტურა და ტურიზმი, 2. ბიზნესის განვითარება და სოფლის მეურნეობა, 3. ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, 4. განათლება და კულტურა, 5. გარემოს დაცვა). სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის შესაბამისად სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადდა საპროექტო წინადადებები სამოქმედო გეგმებისათვის, შედგა სამოქმედო გეგმების ცხრილები მეთოდოლოგიის დანართი №1-ის შესაბამისად. რეგიონული სტრატეგიების სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიები შეთანხმდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2015 წლის სხდომაზე განხილულ და მოწონებულ იქნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლების განახლებული სამოქმედო გეგმა.

2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (შემდგომში „რგპფ“) დაფინანსებით მომზადდა 67 (სამოცდაშვიდი) ინფრასტრუქტურული პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის ღირებულებამ შეადგინა 780 186 ლარი. აქედან: აბაშა 6 პროექტი; ზუგდიდი 13 პროექტი; მარტვილი 1 პროექტი; მესტია 14 პროექტი; სენაკი 6 პროექტი; ჩხოროწყუ 7 პროექტი; წალენჯიხა 5 პროექტი; ხობი 4 პროექტი; ქალაქი ფოთი 4 პროექტი; ქალაქი ზუგდიდი 7 პროექტი.

დასრულდა 73 (სამოცდაცამეტი) ინფრასტრუქტურული პროექტი 30 773 536 ლარის ლარის ჯამური ღირებულებით.

იხ. დანართი №1-10 (თემ(ებ)ი - აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტ(ებ)ი და ქალაქ(ებ)ი ფოთის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტ(ებ)ი).

სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ შეაფასა სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმების შესაბამისობა და დასახული პროექტების თანმიმდევრულობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2014-2021 წლებში განვითარების სტრატეგიასთან და რეგიონის განვითარების 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში და მიიჩნია აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად. სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ

განიხილა აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ზუგდიდისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტები, მათი 2016 წლის ბიუჯეტების პროექტები და მიიჩნია, რომ ისინი თანხვედრაშია რეგიონული განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან და შესაბამის სამოქმედო გეგასთან. განხილვის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიის და 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ.

ლევან შონია

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე